როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებები?

ბავშვის უფლება ინფორმაციის წვდომაზე; განათლების უფლება.

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსში საუბარი იქნება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-17, 28-ე და 29-ე მუხლებზე. მასში მოყვანილია აქტივობების ნიმუშები თითოეული მუხლისთვის.

ბავშვის უფლება ინფორმაციის წვდომაზე.

ბავშვის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან, ასახავს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-17 მუხლი.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ, რომ ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროს ინფორმაციასა და მასალებზე; განსაკუთრებით ისეთ ინფორმაციასა და მასალებზე, რომლებიც მოწოდებულია, ხელს უწყობდეს ბავშვის სოციალურ, სულიერ და მორალურ კეთილდღეობას, აგრეთვე, ჯანსაღ ფიზიკურ განვითარებას. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები:

ა) ხელს უწყობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გაავრცელონ ინფორმაცია და მასალები, რომლებიც ბავშვებისთვის სასარგებლოა სოციალური და კულტურული თვალსაზრისით და შეესაბამება 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

ბ) ხელს უწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობას ასეთი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროდან გავრცელების სფეროში;

გ) ხელს უწყობენ საბავშვო ლიტერატურის გამოშვებასა და გავრცელებას;

დ) ხელს უწყობენ მასობრივ ინფორმაციას, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბავშვის იმ ენობრივ მოთხოვნილებებს, რომლებიც უმცირესობათა რომელიმე ჯგუფს ან ძირეულ მოსახლეობას განეკუთვნება;

ე) ხელს უწყობენ ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავებას ისეთი ინფორმაციისა და მასალებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს მის კეთილდღეობას, მე-13 და მე-18 მუხლების გათვალისწინებით.

ამ მუხლის გასააზრებლად მოსწავლეებმა უნდა გაიგონ:

1. მედიის როლი

   ტელევიზია, სოციალური მედია, წიგნები, ჟურნალები — ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენს აზროვნებასა და შეგრძნებებზე. მუხლი 17 ამბობს, რომ ამ ყველაფერმა ბავშვზე კარგად უნდა იმოქმედოს და არა ცუდად.

2. რა არის სასარგებლო და საზიანო ინფორმაცია

- სასარგებლოა: წიგნები, რომლებიც გვასწავლის სწორ ურთიერთობებს, ჯანმრთელობის დაცვას, ისტორიას, ეკოლოგიის არსს და სხვა.
- საზიანოა: ძალადობრივი ან დამამცირებელი ვიდეოები, დეზინფორმაცია, მუქარის შემცველი შეტყობინებები.

3. ყველა ბავშვის თანასწორობა

ბავშვს, რომელიც განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს (მაგ.: ეროვნული უმცირესობის წევრია), უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მის ენაზე.

4. სახელმწიფოს ვალდებულება

ქვეყანა უნდა დაეხმაროს მედიას ისეთი შინაარსის გავრცელებაში, რომელიც ბავშვის განვითარებას ეხმარება და არ აზიანებს.

მარტივად ეს მუხლი მოსწავლეებს შეიძლება ასე გავაცნოთ: მუხლი 17 გვასწავლის, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა კარგ, სასარგებლო და უსაფრთხო ინფორმაციაზე წიგნებიდან, ტელევიზიიდან, ინტერნეტიდან და სხვა წყაროებიდან. ეს ინფორმაცია უნდა ეხმარებოდეს ბავშვებს, უკეთესად გაიგონ სამყარო, ისწავლონ, განვითარდნენ, იყვნენ ჯანმრთელები და დაცულები.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-17 მუხლი მოსწავლეებისთვის გასაგებად შეგიძლიათ ახსნათ ასაკის შესაბამისი ენის გამოყენებით, რეალური მაგალითებით და დისკუსიის წახალისებით.

აქტივობები მე-17 მუხლის გასაგებად:

აქტივობების მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს მასმედიის გავლენა ბავშვზე და მისი უფლება, მიიღოს სასარგებლო, უსაფრთხო და მისთვის შესაფერისი ინფორმაცია.

მოსწავლემ შედეგად უნდა შეძლოს:

- ბავშვისთვის სასარგებლო ან საზიანო ინფორმაციის განსაზღვრა;
- ახსნას სახელმწიფოსა და მედიის როლი ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდებაში;
- განასხვავოს კარგი და ცუდი შინაარსის მქონე მედია მასალა;
- იმსჯელოს, როგორ დაიცვას თავი მავნე ინფორმაციისგან.

აქტივობა 1

შეკითხვები მოსწავლეებს:

- რას უყურებ, კითხულობ ან უსმენ ყოველდღე?
- როგორ ფიქრობ, ეს შინაარსი გეხმარება თუ ხელს გიშლის? გამშვიდებს თუ გაღიზიანებს?
- რას ნიშნავს „სასარგებლო ინფორმაცია“? (შეძლებისდაგვარად, მოიყვანონ მაგალითები).

აქტივობა 2

დისკუსია:
შეკითხვები, მაგალითად:

- როგორ გამოიცნობ კარგი ინფორმაციის წყაროს?
- როგორ უნდა დავიცვათ თავი ინტერნეტში არასასურველი შინაარსისგან?
- ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ბავშვი დაცული იყოს?
- რას ნიშნავს: ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს წვდომა მასალაზე, მის მშობლიურ ენაზე?

აქტივობა 3

ჯგუფური სამუშაო

ვარიანტი ა (მოსწავლეებს აქვთ მობილური ტელეფონები ან ლეპტოპები):

- მოიძიონ 2 ტიპის ინფორმაციის მაგალითები:
    1. სასარგებლო – ინფორმაცია, რომელიც ასწავლის, აძლიერებს ან განავითარებს ბავშვებს;
    2. საზიანო – დეზინფორმაცია, ძალადობა, სტერეოტიპები, რეკლამა, მუქარა და ა.შ.
- შექმნან პოსტერი ან პრეზენტაცია „სასარგებლო ინფორმაცია საზიანო ინფორმაციის წინააღმდეგ“.

ვარიანტი ბ (მედია მასალებიდან ამოჭრილი/ბეჭდური ტექსტები):

- მასწავლებელი ავრცელებს ჟურნალებიდან ან გაზეთებიდან ამოჭრილ მასალებს;
- მოსწავლეები ანაწილებენ მასალებს ორ სვეტად: სასარგებლო / საზიანო;
- ხსნიან, რატომ მიაკუთვნეს კონკრეტული შინაარსი ერთ ან მეორე კატეგორიას.

აქტივობა 4

ჯგუფური სამუშაო

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ჟურნალისტები, რომლებიც ქმნიან გადაცემას ბავშვებისთვის, რა თემებს შეარჩევდით?

აქტივობა 5

კავშირი სხვა მუხლთან (მაგ.: მუხლი 13 - ბავშვს აქვს გამოხატვის თავისუფლება).

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს მე-13 მუხლს და ეკითხება, ხედავენ თუ არა მოსწავლეები კავშირს მე-13 და მე-17 მუხლებს შორის.

ბოლოს მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას: შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია, რომელიც გვაძლიერებს, გვასწავლის და გვიცავს. სახელმწიფო და მედია ვალდებული არიან მოგვაწოდონ ასეთი შინაარსი.

განათლების უფლება.

მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას და, თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, ამ უფლების განხორციელების თანდათანობით მიღწევის მიზნით:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ საშუალო განათლების, როგორც ზოგადის, ისე პროფესიულის, სხვადასხვა ფორმის განვითარებას; უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის და აგრეთვე მიმართავენ ისეთ საჭირო ღონისძიებებს, როგორებიცაა უფასო განათლების შემოღება და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) უზრუნველყოფენ ყველასთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას თითოეულის უნარის საფუძველზე ყველა საჭირო საშუალების დახმარებით;

დ) უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას;

ე) მიმართავენ ხელშეწყობის ღონისძიებებს, რათა ბავშვები რეგულარულად დადიოდნენ სკოლაში და შემცირდეს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც მიატოვეს სკოლა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასკოლო დისციპლინას იცავდნენ ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემის გამომხატველი მეთოდების დახმარებით და წინამდებარე კონვენციის შესაბამისად.

3. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ და განავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და უწიგნურობის ლიკვიდაციის ხელშეწყობის და სამეცნიერო–ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობის გაადვილების მიზნით. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მოზარდებს მასწავლებელმა შეიძლება ეს მუხლი ასე მიაწოდოს:

ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება – არ აქვს მნიშვნელობა, სად ცხოვრობს, რამდენი ფული აქვს მის ოჯახს, გოგოა თუ ბიჭი. სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ სწავლა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის.

მუხლის ნაწილების მარტივი ახსნა

მუხლის პირველი ნაწილი

ა) უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება

ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს საშუალება, იაროს დაწყებით სკოლაში – უფასოდ და აუცილებლად.

ბ) საშუალო განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის

საშუალო და პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის. სახელმწიფო კი უნდა დაეხმაროს მათ, ვისაც არ შეუძლია ხარჯების გადახდა.

გ) უმაღლესი განათლება უნარის მიხედვით

უნივერსიტეტში სწავლა არ უნდა იყოს მხოლოდ მდიდრებისთვის – ვისაც უნარი და სურვილი აქვს, ყველას უნდა ჰქონდეს ამის შესაძლებლობა.

დ) განათლებაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ბავშვებმა უნდა იცოდნენ, სად შეუძლიათ ისწავლონ, რა პროგრამები არსებობს, რათა თავად აირჩიონ მომავალი პროფესია.

ე) სკოლაში სიარული და სკოლიდან გადინების თავიდან აცილება

სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ ბავშვები სკოლაში დადიოდნენ და არ მიატოვონ სწავლა.

მუხლის მეორე ნაწილი — დისციპლინა და ღირსება

მასწავლებელმა შეიძლება დაგსაჯოს, მაგრამ არა ისე, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. სასკოლო წესრიგი უნდა იყოს დამყარებული ადამიანის ღირსების დაცვით და არა ყვირილით, დამცირებით, ფიზიკური ძალადობით.

მუხლის მესამე ნაწილი - საერთაშორისო დახმარება განათლებაში

ყველა ქვეყანა უნდა ეცადოს, რომ იმ ბავშვებს დაეხმაროს, რომლებიც განათლებას ვერ იღებენ – განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში. უნდა გავიზიაროთ და გავაზიაროთ ცოდნა, წიგნები, ინტერნეტი და სწავლის ახალი გზები.

აქტივობები 28-ე მუხლის გასააზრებლად:

მიზანი - მოსწავლემ გაიაზროს განათლების უფლების შინაარსი.

შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- განსაჯოს, როგორ შეიძლება ეს უფლება დაირღვეს ან დაცული იყოს;
- გამოავლინოს კრიტიკული აზროვნების უნარი, ემპათია და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.

აქტივობა 1

ქეისების განხილვა

ქეისი 1:

ლაშას სკოლა სოფელშია. კლასში ზამთარში გათბობა არ მუშაობს. ლაშა ხშირად ხდება ავად და აცდენს სკოლას.

კითხვები:

- ირღვევა თუ არა 28-ე მუხლი?
- ვისზეა პასუხისმგებლობა?

ქეისი 2:

ნინი სკოლას რეგულარულად აცდენს. მისმა მასწავლებელმა ის კლასის წინ გააკრიტიკა და დასაჯა.

კითხვა:

- როგორ შეიძლებოდა ეს სიტუაცია გადაწყვეტილიყო ბავშვის ღირსების დაცვით?

ქეისი 3:

გიორგის სურს კოლეჯში სწავლა, მაგრამ არ იცის პროგრამების შესახებ. სკოლა მას არაფერს სთავაზობს.

კითხვა:

- რა უფლება არ არის დაცული? როგორ შეიძლება გამოსწორდეს?

აქტივობა 2

როლური თამაში

თემა: „სკოლაში პრობლემის გადაჭრა ბავშვის ღირსების დაცვით“

როლები: მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი, მშობელი, მედიატორი

სცენარები:

1. მოსწავლემ კლასში ხმაურის გამო შენიშვნა მიიღო და განაწყენდა. როგორ შეიძლება მასწავლებელმა იმოქმედოს ღირსების შენარჩუნებით?
2. მოსწავლეს არ შეუძლია სასადილოს თანხის გადახდა. როგორ შეიძლება სკოლამ უზრუნველყოს ამ პრობლემის გადაჭრა?

აქტივობა 3

მსჯელობა – "როგორი უნდა იყოს სამართლიანი სკოლა"

მიმდინარეობა:

ა) შესაძლებელია მოეწყოს საკლასო დისკუსია.

- როგორი უნდა იყოს სკოლა, რომ მოსწავლემ თავი დაცულად იგრძნოს?
- როგორ შეიძლება სახელმწიფო დაეხმაროს იმ ბავშვებს, რომლებსაც სკოლაში სიარული უჭირთ?

ბ) მოსწავლეები ჯგუფებად ფურცელზე წერენ ან/და ხატავენ თავიანთ წარმოდგენას სამართლიან სკოლაზე. იყენებენ 28-ე მუხლის ელემენტებს:

- უფასო და ხელმისაწვდომი სწავლა
- ღირსების დაცვა
- ინფორმაციის მიწოდება
- თანასწორობა

შემდეგ თითოეული ჯგუფი წარადგენს თავის ვერსიას.

აქტივობა 4

უფლებათა კედელი

თითოეულმა მოსწავლემ ფურცელზე დაწეროს:

- რას ნიშნავს მისთვის განათლების უფლება
- რა ბარიერებია ამ უფლების რეალიზებაში
- რას შეცვლიდა ის, რომ ყველა ბავშვმა ისწავლოს

ყველა პასუხი მაგრდება კედელზე/დაფაზე, ხდება საერთო რეფლექსია.

ბოლოს მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ ამაში და უზრუნველყოს ბავშვების ინფორმირება განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

28-ე მუხლის შესაბამისი პრეზენტაციის ნახვა შეიძლება ბმულზე

ეს პრეზენტაცია მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს უცვლელად, ნიმუშად ან მოდიფიკაციით.

განათლების მიზანი ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით

ბავშვის უფლებათა კონვენციის 29-ე მუხლში ასახულია განათლების მიზანი.

მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან იმაზე, რომ ბავშვის განათლება გამიზნული უნდა იყოს იმისათვის, რათა:

ა) ბავშვის პიროვნება, ნიჭი და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები რაც შეიძლება სრული მოცულობით განვითარდეს;

ბ) აღიზარდოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების პატივისცემით;

გ) აღიზარდოს ბავშვში მშობლების, მისი კულტურული თავისთავადობის, ენისა და ღირებულებების, თავისი საცხოვრებელი ქვეყნის, თავისი წარმომავლობის ქვეყნის და მისი საკუთარისგან განსხვავებული ცივილიზაციების ღირებულებათა პატივისცემა;

დ) ბავშვი მომზადდეს თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხის, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით;

ე) აღიზარდოს გარემოსადმი პატივისცემის გრძნობით;

2. ამ მუხლის ან 28-ე მუხლის არცერთი ნაწილი არ უნდა იყოს გაგებული როგორც ცალკეული პირებისა და ორგანოების შემზღუდველი იმაში, რომ შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპების განუხრელი დაცვის პირობით და შეასრულონ ის მოთხოვნები, რომ ასეთ სასწავლებლებში მიცემული განათლება შეესაბამებოდეს მინიმალურ ნორმებს, რომლებიც სახელმწიფომ შეიძლება დაადგინოს.

მარტივი ახსნა 29-ე მუხლისთვის.

ა) რა არის განათლების მიზანი?

ეს მუხლი გვახსენებს, რომ განათლება მხოლოდ წიგნებით ცოდნის მიღება არ არის. განათლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბებაში, ისეთებად, ვინც ფიქრობს, გრძნობს, აფასებს და პასუხისმგებლობით ცხოვრობს.

ბ) რა უნდა განავითაროს განათლებამ ბავშვში?

პიროვნული განვითარება - განათლება უნდა დაეხმაროს ბავშვს, რომ მისი ნიჭი, აზროვნება და ფიზიკური შესაძლებლობები მაქსიმალურად განვითარდეს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა - ბავშვმა უნდა ისწავლოს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს უფლება, იყოს თავისუფალი. მაგალითად, სხვების შეურაცხყოფა არასწორია, რადგან ყველას აქვს ღირსება.

განსხვავებულის პატივისცემა - განათლება უნდა ასწავლიდეს ბავშვს, როგორ უნდა ესმოდეს და სცეს პატივი როგორც საკუთარ კულტურას, ისე სხვა ხალხების კულტურას, ენასა და ტრადიციებს.

მშვიდობა და თანასწორობა - სკოლამ უნდა მოამზადოს მოზარდი, რომ ცხოვრებაში იყოს გულახდილი, მშვიდობიანი, შემწყნარებელი და მხარს უჭერდეს ქალისა და მამაკაცის, გოგონებისა და ვაჟების თანასწორობას.

ბუნების პატივისცემა - ბავშვმა უნდა ისწავლოს, როგორ მოუაროს გარემოს და დაიცვას ბუნება.

აქტივობები 29-მუხლისთვის

აქტივობა 1

განათლება არ არის მხოლოდ წიგნები

მიზანი:

მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ განათლება პიროვნული ზრდის მრავალმხრივი საშუალებაა.

დაფაზე ან ფლიპჩარტზე დაწერეთ სიტყვა: „განათლება“. სთხოვეთ მოსწავლეებს დაასახელონ, რა ასოცირდება მათთვის ამ სიტყვასთან.

შემდეგ წარუდგინეთ 29-ე მუხლის შინაარსი (მარტივი ენით).

აქტივობა 2

პოსტერის მომზადება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილებში/ჯგუფებში მოამზადონ პოსტერი ან სლაიდი, რომელშიც დაახასიათებენ, როგორ უნდა ეხმარებოდეს სკოლა თითოეულ მოსწავლეს თავისი უნარების განვითარებაში.

შედეგი: მოსწავლეები მიხვდებიან, რომ სკოლა მხოლოდ აკადემიური განათლების მიღებაში კი არა, ცხოვრებისათვის მომზადებაშიც ეხმარება მათ.

აქტივობა 3

სხვათა პატივისცემა - კულტურების მოზაიკა

მიზანი: კულტურული მრავალფეროვნების გაცნობიერება და პატივისცემა.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიტანონ ინფორმაცია (მინი-პრეზენტაცია ან ნახატი) რომელიმე სხვა ქვეყანაში არსებული ტრადიციის, ენის ან დღესასწაულის შესახებ.

თითოეულმა მოსწავლემ ან ჯგუფმა წარმოადგინოს თავისი „კულტურული ბარათი“.

შემდეგ მასწავლებელი აწყობს დისკუსიას:

- რატომ უნდა ვიცოდეთ სხვა კულტურების შესახებ?
- როგორ გვეხმარება ეს მშვიდობიან თანაცხოვრებაში?

შედეგი: მოსწავლეები სწავლობენ ღირებულებებს, ტოლერანტობას, განსხვავებების პატივისცემას და ინტერკულტურული ურთიერთობების არსს.

აქტივობა 4

თანასწორობის ხაზი

მიზანი: გააცნობიერონ ქალებისა და მამაკაცების/გოგონებისა და ბიჭების თანასწორობა და ყველას თანაბარი უფლება.

გააცანით მოსწავლეებს შემდეგი კითხვები და სთხოვეთ დაწერონ პასუხი ან მიუთითონ „დიახ/არა“:

- შეუძლია გოგოს გახდეს პრეზიდენტი?
- შეუძლია ბიჭს იყოს მასწავლებელი ბაღში?
- ორივე სქესს შეუძლია ტირილი?
- წაიკითხეთ ხმამაღლა პასუხები და განიხილეთ.

აჩვენეთ, როგორ ასწავლის მუხლი 29 თანასწორობისა და პატივისცემის მნიშვნელობას.

შედეგი: მოსწავლეები იწყებენ სტერეოტიპების რღვევას და თანასწორობის იდეების გააზრებას.

აქტივობა 5

საშუალო სკოლა 2035 – ჩემი იდეალური სკოლა

მიზანი: მოსწავლეებმა წარმოიდგინონ სკოლა, რომელიც სრულად პასუხობს 29-ე მუხლის იდეალებს.

მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად და სთხოვს, შექმნან მათი წარმოდგენით „იდეალური სკოლა“, სადაც:

- ყველა ნიჭს აფასებენ,
- ყველა კულტურას სცემენ პატივს,
- სუფთა გარემოა,
- სქესობრივი და ეთნიკური თანასწორობაა.

წარმოადგინონ თავიანთი „სკოლა“ ნახატით, სლაიდებით ან დრამით.

შედეგი: მოსწავლეები გაიაზრებენ მუხლის შინაარსს და დააკავშირებენ თავიანთ რეალურ გარემოსთან.

აქტივობა 6

წერითი დავალება:

- დაასახელე მინიმუმ სამი გზა, როგორ გეხმარება სკოლა შენი უნარების განვითარებაში.
- ჩაწერე, რას ნიშნავს შენთვის „განსხვავებულის პატივისცემა“.
- დაასახელე ერთი გარემოსდაცვითი ქმედება, რომელიც შენს სკოლაში შეიძლება განხორციელდეს.
- დაწერე მოკლე ტექსტი: როგორ შეგვიძლია მეგობრობა სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანებთან?

გააკეთე ნახატი ან კოლაჟი: „როგორ წარმოვიდგენ თავისუფალ და მშვიდობიან საზოგადოებას“.